



## პათოლოგიის დეპარტამენტი



**პროფესორი ნატალია კავლიაშვილი**  
**დეპარტამენტის ხელმძღვანელი**

---



**ასოცირებული პროფესორი ქეთევან ლაბაშიძე**

---



**ასოცირებული პროფესორი მანანა ნამორაძე**

---



**ასოცირებული პროფესორი დავით დელიბაშვილი**

---



**ასოცირებული პროფესორი ეკატე თოფურიძე**


---



# პათოლოგიის დეპარტამენტი



ასოცირებული პროფესორი ნათია გამყრელიძე



ასისტენტ-პროფესორი მაია კაცაძე



ასოცირებული პროფესორი ნელი ფხალავა



ასისტენტ-პროფესორი ნანა ჭელიძე



ასისტენტ-პროფესორი კახა აბულავა





# პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის (პათოფიზიოლოგიის) დეპარტამენტი (2006 წლამდე - პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრა) საწყისს იღებს "ზოგადი პათოლოგიის" კათედრიდან, რომელიც დაარსდა 1920 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. კათედრის ორგანიზება დაევალა პროფესორ სიმონ ამირეჯიბს. კათედრის დროებითი გამგეები იყვნენ: პროფესორი პოლიენ მეზერნიცკი (1920-1922), პროფესორი დანიელ ღამბარაშვილი (1922).

1922 წლიდან კათედრის გამგედ მოწვეული იქნა ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის პათოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის კათედრის გამგე, დამსახურებული და გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი, შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი ვლადიმერ ვორონინი, რომელიც კათედრას 1955 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1955 წლიდან კათედრის გამგეები იყვნენ: პროფესორი ირინე ზაალიშვილი (1955-1976), პროფესორი თეიმურაზ ნათაძე (1976- 1990), პროფესორი ვახტანგ ყიფიანი (1990-2015), პროფესორი თეიმურაზ პეტრიაშვილი (2015-2019), 2020 წლიდან დეპარტამენტის ხელმძღვანელია პროფესორი ნატალია პავლიაშვილი. 1924 წელს კათედრას, არსის შეუცვლელად ეწოდა "პათოლოგიური ფიზიოლოგიის" კათედრა. კათედრის გამგესთან, პროფესორ ვ. ვორონინთან 1930 წლამდე მუშაობდა კათედრის უფროსი ასისტენტი ვასილ ვარაზი, შემდგომში - პროფესორი, ბიოქიმიის კათედრის გამგე, რომელიც წარდგენილი იქნა ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად.

დეპარტამენტში მიმდინარეობს პათოფიზიოლოგიის სწავლების პროცესი უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებთან. სასწავლო პროგრამებია: 1. "პათოლოგიური ფიზიოლოგია" - მედიცინის ფაკულტეტისთვის; 2. "პათოლოგია" - ფარმაციის ფაკულტეტისთვის; 3. "პათოლოგიური ფიზიოლოგია" - სტომატოლოგიის ფაკულტეტისთვის; 4. "პათოლოგიური ფიზიოლოგია"- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტისთვის; 5. "პათოლოგიური ფიზიოლოგია" - ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტისთვის.

სასწავლო პროგრამების შესაბამისად გამოცემულია სასწავლო სახელმძღვანელოები. შექმნილია დამხმარე სახელმძღვანელოები: „აპოპტოზი: მოლეკულური მექანიზმები და როლი მოლეკულურ პათოლოგიაში“; „მუჯურ-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნების და დარღვევის მექანიზმები“.

დეპარტამენტში მუდმივად მიმდინარეობს მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და მიღებულია საგულისხმო შედეგები. კერძოდ, დადგენილია შემაერთებული ქსოვილის როლი სისხლძარღვოვან რეაქციებში ანთების დროს. შესწავლილია სისხლის ნაკადის ცვლილებების მექანიზმი სხვადასხვა პათოლოგიის დროს. გამოვლენილია პერიფერიული სისხლის მიმოქცევის მოშლის მექანიზმების ზოგიერთი ასპექტი ჰიპერტონული დაავადებისას, კანის სისხლმომარაგების დარღვევის მნიშვნელობა და ხასიათი, კანის ფუნქციური მაჩვენებლების ცვლილებები ქრონიკული ეგზემის, ნეიროდერმიტის და სკლეროდერმიის დროს. გამოკვლეულია სიმსივნეში და სიმსივნეანო ორგანიზმის სიმსივნისგან დაუზიანებელ ქსოვილებში სისხლის მიმოქცევის თავისებურებები, მისი არასრულფასოვნების მიზეზები და დამოკიდებულება ზოგად ჰემოდინამიკურ ფაქტორებზე. შემუშავებულია სიმსივნეზე ქიმიოთერაპიული პრეპარატების მოქმედების გაძლიერების გზები. მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა სამკურნალო პრეპარატების ორგანიზმზე მოქმედების შესწავლას. დეტალურადაა შესწავლილი რეგიონული სისხლის მიმოქცევის და მიკროცირკულაციის პარანეოპლაზიური დარღვევები სხვადასხვა ორგანოებში. ნაჩვენებია მათი სტერეოტიპული, უნივერსალური, გენერალიზებული ხასიათი. გამოვლენილია სიმსივნური ანემიის პათოგენეზის მნიშვნელოვანი ასპექტები და ავთვისებიანი ზრდის დროს "ინტაქტური" ორგანოების სისხლძარღვების თრომბოზის რისკის დაქვეითების მექანიზმები და სხვ. გამოკვლეულია მიკროცირკულაციის, ადრენორეცეპტორთა ფუნქციის, უჯრედის ენერგეტიკის, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის, ელექტრონული ტრანსპორტის ცვლილებები ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომის და შაქრიანი დიაბეტის დროს. აგრეთვე, აღწერილია ჰიპერბარული ოქსიგენაციის გავლენა ამ პროცესებზე.

დეპარტამენტი ბოლო წლებში მუშაობდა 12 დაფინანსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტზე (გრანტზე).